წერილის ნომერი:**31-31263021**
თარიღი: **29/10/2026**

ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გიორგი ჩახვაძის მოსახლეობასთან შეხვედრისა და 2025 წლის 30 ოქტომბრიდან

დღემდე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენის ოქმი.

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

შეხვედრის ადგილი: ჩიბათის ადმინისტრაციული ერთეული

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 26.10.2026 წელი 16:00 საათი

შეხვედრას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის მეორე რანგის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი **ნიკოლოზ კოზანაშვილი** მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **ლაშა სარჯველაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ხათუნა ვადაჭკორია,** ჩიბათის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა.

გიორგი ჩახვაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ის არის ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ჩიბათის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი, თანამდებობრივად - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე. მან განაცხადა, რომ როგორც საკრებულოს წევრი, ვალდებულია ყოველწლიურად ანგარიში ჩააბაროს ადგილობრივ მოსახლეობას, მიაწოდოს მათ ინფორმაცია საკრებულოს მუშაობის შესახებ, თუ რა გამოწვევებია და რა პრობლემებია.

მან აღნიშნა, რომ ერთი წლის განმავლობაში გაიმართა 18 საკრებულოს სხდომა, 17 ბიუროს სხდომა, 14 ფრაქციის სხდომა და 15 „სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის“ კომისიის სხდომა. ის აქტიურად არის ჩართული საკრებულოს მუშაობაში. მისთვის პირველ ადგილზე ყოველთვის არის ჩიბათის ადმინისტრაციული ერთეული და მისი პრობლემები. აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად ცდილობს პრობლემების მოწესრიგებას, სადაც ძირითადი გამოწვევები არის ინფრასტრუქტურის, სოციალური, საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული კუთხით.

გიორგი ჩახვაძემ განაცხადა, რომ ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში ერთი წლის განმავლობაში საერთო ჯამში დაგებულია 4 კილომეტრი გზა. ე.წ ჩახვაძეების უბანიდან დაიწყო დაგება, ორივე პირი დასრულებულია, სანიაღვრე არხი ჩაწყობილია, ამჟამად გვერდულების შევსება მიმდინარეობს და დასრულდება ერთი ლამაზი უბანი.

ასევე ზემო ჩიბათში დაიგო ასფალტი და ამ გზით სამი სოფელი დაუკავშირდება

ერთმანეთს ჩიბათი, გვიმბალაური და მაჩხვარეთი. ორაგვის ტურისტულ ზონაში უმოკლესი მისასვლელი გზა ჩიბათიდან იქნება და შესაბამისი ტრაფარეტიც გაკეთდება. სოფლის პროგრამის ფარგლებში და ადგილობრივი მოსახლეობის თანადგომით, შეზღუდული ფინანსების პირობებში, 300 მეტრი ბეტონის გზა დაიგო, ე.წ. „ჭაჭახუნის“ უბანში.

ახალგაზრდების მოთხოვნით და მათი თანადგომით აშენდა ხელოვნურსაფარიანი სტადიონი, სადაც ყოველ საღამოს ახალგაზრდები იკრიბებიან და ჯანსაღ ცხოვრებას ეწევიან.

გიორგი ჩახვაძემ აღნიშნა, რომ ის რაც ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში კეთდება, მხოლოდ მისი დამსახურება არაა და მან მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, გულშემატკივრებს და ყველა იმ ადამიანს რომელიც გვერდით უდგას და იბრძვის ჩიბათის წინსვლისთვის.

მან ასევე ისაუბრა პრობლემაზე, რომელიც საბავშო ბაღს ეხება. დაგეგმილი იყო ახალი საბავშვო ბაღის აშენება, გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია, რომელიც შეასრულებდა სამუშაოებს, მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო ვერ დაიწყო. ამჟამად ცდილობს გაკეთდეს საბავშვო ბაღის პროექტი, რომ შემდგომ მოიძიონ ფინანსები.

ამჟამად მიმდინარეობს ხელშეკრულების გაფორმება 10 კილომეტრიანი გზის დაგებაზე, რომელიც მდინარე ფიჩორამდე მივა. შეიქმება კიდევ ერთი კეთილმოწყობილი ლამაზი ტურისტული ზონა. ამ გზით 50-მდე ფერმერი ისარგებლებს. საკმაოდ დიდი სამუშაოები ჩატარდა ასფალტირებამდე რომ მისულიყო აღნიშნული გზა, სადაც ახალი ელექტროსისტემა იქნა გაყვანილი თავის ტრანსფორმატორებით, ასევე ხრეშოვანი ფენა იქნა დაგებული. ადრე ამ გზაზე გადაადგილებაც კი შეუძლებელი იყო. უკვე სამომავლოდ იქნება ტურისტული ზონა, რომელიც ყველა საჭიროებებით იქნება შევსებული როგორც მოსასვენებელი ზონა ასევე გასართობით.

„ჭალის“ უბანი თითქმის სრულიად ასფალტირებულია, ერთი უბანია სადაც ჭალა-ზემო ჩიბათის დამაკავშირებელი გზის აღდგენაა საჭირო, რათა სკოლაში და ბაღში ბავშვებმა ტრანსპორტითკომფორტულად იაროს.

მან ასევე ისაუბრა ჯანდაცვის კუთხით, აღნიშნა - მოსახლეობის და სრულიად მუნიციპალიტეტის პრობლემაა, რომ მუნიციპალიტეტს არ ჰყავს ქირურგი, ტრამვატოლოგი. ნებისმიერ ადამიანს რაიმე რომ შეემთხვას ადგილობრივად ვერ ხერხდება მათი დამხმარება. უნდა მოიძიონ, როგორ გადაიყვანონ პაციენტი ქუთაისში, ბათუმში ან ფოთში. სწრაფად ჩარევა ვერ ხერხდება. მოწვეული იყო საავადმყოფოების მენეჯერები, ადგილობრივი ხელისუფლებაც ჩართლია და იმედია დროულად მოგვარდება სიტუაცია.

გიორგი ჩახვაძემ ისაუბრა ფაროსანას და კრაზანების შემოსევის შესახებ. მან აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრებს მოწვეული ჰყავდათ სოფლის მეურნეობს წარმომადგენლები, რომელებთანაც განიხილეს პრობლემის მოგვარების გზები. საჭიროა მოსახლეობის აქტიური ჩართულობა და ფერმერების თანადგომა, რომ ყველა ლოკაცია შეიწამლოს. სოფელში ასევე პრობლემაა საყანე ფართობები, რომლებიც შემოღობილი არ არის, რადგანაც კერძო საკუთრებაა და სახელმწიფო ვერ შემოღობავს. წინ არის ზამთრის პერიოდი და მოსახლეობის ჩართულობით უნდა შემოიღობოს ტერიტორია და პრობლემაც გადაიჭრება. სოფელში პრობლემაა სასმელი წყლის მიწოდება. ტექნიკური წყალი არის, მაგრამ ხშირად დაბინძურებულია და მოსახმარად უვარგისია. ჩამოსული იყო გაერთიანებული წყალმომარაგების წარმოადგენლები, მოხდა წერტილების აღება, თუ სად შეიძლება განთავსდეს სათავე ნაგებობა და იმედია საპროექტო სამუშაოები დაიწყება. უნდა მოგვარდეს, რომ ყველა ოჯახში იყოს სასმელი წყალი.

მან განაცხადა, რომ სასაფლაოებთან მისასვლელი გზა მოწესრიგდა, შემოიღობა და მოსახლეობამ უნდა გამოიჩინოს კეთილგონიერება, რომ პირუტყვი არ ჩაუშვან.

გიორგი ჩახვაძემ თითოეულს მადლობა გდაუხადა მობრძანებისთვის და გადავიდა კითხვა პასუხის რეჟიმში.

მოსახლეობის თხოვნაა, რომ შეიღობოს როგორ საძოვარი, ასევე საყანე ფართობი.

პატივისცემით,

გიორგი ჩახვაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე